



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო



გ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა № 621

25 ნოემბერი
“ --- ” ----- 2022 ♡

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, სოფელი ქვემო ლისის მიმდებარედ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 146 634 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.72.16.104.003) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 118¹ მუხლის მე-5 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-3 - მე-4 პუნქტის და მე-5 მუხლის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, სოფელი ქვემო ლისის მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 146634 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.72.16.104.003) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 22 ნოემბრის №22.1798.1941 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, სოფელი ქვემო ლისის მიმდებარედ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 146634 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.72.16.104.003) გაცვლის ფორმით პრივატიზებაზე, საპრივატიზებო საფასურით 849754 (რვაას ორმოცდაცხრა ათას შვიდას ორმოცდაათობმეტი) ლარის ოდენობით, შპს „პიაცა მზიურის“ (ს/ნ. 445449854) საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, ჭაბუა ამირეჯიბის გზატკეცილი №10-ში არსებული 15761 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.14.14.005.160) და ქალაქ თბილისში, ბავშვთა სპორტულ-გამაჯანსაღებელ ქალაქ „მზიური“-ს ტერიტორიაზე არსებული 2676 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.14.14.005.155) ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 146 634 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.72.16.104.003) სამშენებლოდ განვითარება განხორციელდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში, სარეკრეაციო ზონა 3-ის (რზ-3) პარამეტრებით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე



ხელშეკრულება
უძრავი ქონების გაცვლის ფორმით პრივატიზების შესახებ

ქ. თბილისი

-----/----- 2022წ.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 118¹ მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის [●] განკარგულების და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს [●] განკარგულების საფუძველზე,

ერთის მხრივ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტო (შემდგომში - „სააგენტო“), მის. ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7, წარმოდგენილი [●] მიერ და

მეორეს მხრივ, [●] მის: [●] (შემდგომში - „ქონების შემძენი“),

ვაფორმებთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების გაცვლის ფორმით პრივატიზების ხელშეკრულებას (შემდგომში - „ხელშეკრულება“)

პ რ ე ა მ ბ უ ლ ა

- ვინაიდან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტომ (შემდგომში: „სააგენტო“) 2022 წლის 17 ნოემბრის №61-0122321535 წერილით, საინიციატივო წინადადებით მიმართა შპს „პიატა მზიურს“ (ს/ნ: 445449854) (შემდგომში - „კომპანია“) და შესთავაზა კომპანიის საკუთრებაში არსებული №01.14.14.005.160 და №01.14.14.005.155 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული უძრავი ქონებების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის საკუთრებაში გადაცემა.
- ვინაიდან, შპს „პიატა მზიურს“ საკუთრებაში ქალაქ თბილისში, ჭაბუა ამირეჯიბის გზატკეცილი №10-ში არსებული 15761 კვ.მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: №01.14.14.005.160) და ქალაქ თბილისში, ბავშვთა სპორტულ-გამაჯანსაღებელ ქალაქ „მზიური“-ს ტერიტორიაზე არსებული 2676 კვ.მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: №01.14.14.005.155) მდებარეობს მზიურის პარკის მიმდებარე ტერიტორიაზე, რომელიც წარმოადგენს დედაქალაქისთვის უმნიშვნელოვანეს საქალაქო პარკს. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, დედაქალაქის ტერიტორიაზე სარეკრეაციო სივრცეების შენარჩუნება და განვითარება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს. №01.14.14.005.155 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მოწყობილია საფეხმავლო გასასვლელი სივრცე. აღნიშნული ტერიტორიისა და საავტომობილო მაგისტრალის ქვევით მოწყობილია მიწისქვეშა გადასასვლელი, რომელიც უშუალოდ უკავშირდება მზიურის პარკის შესასვლელს. ასევე, კომპანიის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების ნაწილზე ვრცელდება მდინარის შეტბორვის არეალი და მდინარის წყალდაცვითი ზონა. მზიურის პარკის ერთიანობის შენარჩუნებისა და ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სააგენტომ შპს „პიატა მზიურს“ მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სანაცვლოდ შესთავაზა ქალაქ თბილისში, სოფელ ქვემო ლისის მიმდებარედ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 146 634 კვ.მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: №01.72.16.104.003).

- ვინაიდან, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს (შემდგომში: „ექსპერტიზის ბიუროს“) 2022 წლის 13 ოქტომბრის №007087222 ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 01.72.16.104.003 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულებამ 2022 წლის 12 ოქტომბრის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგინა 11 877 354 (თერთმეტი მილიონ რვაას სამოცდაჩვიდმეტი ათას სამას ორმოცდაათოთხმეტი) ლარი.
- ვინაიდან, შპს „პიატა მზიურის“ (ს/კ 445449854) საკუთრებაში არსებული 01.14.14.005.160 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულებამ ექსპერტიზის ბიუროს 2022 წლის 26 ოქტომბრის №007387922 ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, 2022 წლის 24 ოქტომბრის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგინა 19 906 143 (ცხრამეტი მილიონ ცხრაას ექვსი ათას ას ორმოცდასამი) ლარი, ხოლო №01.14.14.005.155 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულებამ ექსპერტიზის ბიუროს 2022 წლის 26 ოქტომბრის №007388222 ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, 2022 წლის 24 ოქტომბრის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგინა 3 976 536 (სამი მილიონ ცხრაას სამოცდათექვსმეტი ათას ხუთას ოცდათექვსმეტი) ლარი.
- ვინაიდან, მიუხედავად ზემოაღნიშნული საბაზრო ღირებულებებისა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი მის საკუთრებაში არსებული მწირი რესურსებიდან გამომდინარე, №01.14.14.005.155 და №01.14.14.005.160 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული უძრავი ქონებების მუნიციპალურ საკუთრებაში მიღების საკითხს განიხილავს 11 027 600 ლარის ღირებულებით. ამასთან, ვინაიდან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულებასა და შპს „პიატა მზიურის“ (ს/კ 445449854) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების გაცვლისთვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ შეთავაზებულ ფასს (11 027 600 ლარი) შორის სხვაობა შეადგენს 849 754 ლარს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა მიზანშეწონილად მიიჩნევს №01.72.16.104.003 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის საპრივატიზებო საფასურად განისაზღვროს 849 754 (რვაას ორმოცდაცხრა ათას შვიდას ორმოცდაათოთხმეტი ლარი).
- ვინაიდან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2022 წლის 16 ნოემბრის №16-01223203332 წერილის შესაბამისად, ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული №01.72.16.104.003 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების განკარგვა და მისი შემდგომი სამშენებლოდ განვითარება განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში, სარეკრეაციო ზონა 3-ის (რზ-3) პარამეტრებით.
- ვინაიდან, ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, კომპანიამ 2022 წლის 17 ნოემბრის №19/01223213034-61 წერილით გამოხატა თანხმობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მხარეები დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი.

1.1 ამ ხელშეკრულებით, სააგენტო საკუთრებაში გადასცემს ქონების შემძენს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონებას (შემდგომში - „პრივატიზების საგანი“):

ქალაქ თბილისში, სოფელ ქვემო ლისის მიმდებარედ არსებულ 146 634 კვ.მ მიწის ნაკვეთს (საკადასტრო კოდი: 01.72.16.104.003).

უძრავი ქონების მახასიათებლები განსაზღვრულია სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან ამონაწერით: განცხადების რეგისტრაციის ნომერი: [●] მომზადების თარიღი: [●]

1.2 ხელშეკრულების 1.1 პუნქტით განსაზღვრული ქონების გადაცემის სანაცვლოდ ქონების შემძენი საკუთრებაში გადასცემს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს:

1.2.1 ქალაქ თბილისში, ჭაბუა ამირეჯიბის გზატკეცილი №10-ში მდებარე 15 761 კვ.მ მიწის ნაკვეთს (საკადასტრო კოდი: 01.14.14.005.160).

1.2.2 ქალაქ თბილისში, ბავშვთა სპორტულ-გამაჯანსაღებელ ქალაქ "მზიური"-ს ტერიტორიიდან 2676 კვ.მ მიწის ნაკვეთს (საკადასტრო კოდი: 01.14.14.005.155).

უძრავი ქონების მახასიათებლები განსაზღვრულია სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან ამონაწერით: განცხადების რეგისტრაციის ნომერი:[●] მომზადების თარიღი: [●].

უძრავი ქონების მახასიათებლები განსაზღვრულია სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან ამონაწერით: განცხადების რეგისტრაციის ნომერი:[●] მომზადების თარიღი: [●].

მუხლი 2. საპრივატიზებო პირობები

2.1 ამ ხელშეკრულების 1.1. პუნქტით განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 01.72.16.104.003 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის გაცვლის ფორმით პრივატიზების პირობად განისაზღვროს: 01.72.16.104.003 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ტერიტორიის სამშენებლოდ განვითარება განხორციელდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში და განვითარდეს სარეკრეაციო ზონა 3 (რზ-3)-ის ფუნქციით.

2.2 პრივატიზების საგანზე ქონების შემძენის საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციისას, საპრივატიზებო პირობა ვალდებულებად დარეგისტრირდება საჯარო რეესტრში და შესაბამის საჯარო რეესტრის ამონაწერში აღირიცხება შემდეგი ჩანაწერი: „ქონება შეძენილია საპრივატიზებო პირობით“.

მუხლი 3. საპრივატიზებო საფასური, მისი გადახდის წესი და პირობები

3.1 ხელშეკრულების 1.1 პუნქტის გათვალისწინებული მიწის ნაკვეთის საპრივატიზებო საფასურად განისაზღვრა 849,754 (რვაას ორმოცდაცხრა ათას შვიდას ორმოცდათოთხმეტი) ლარი.

3.2 საპრივატიზებო საფასურის გადახდა უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 6 (ექვსი) თვის ვადაში.

3.3 საპრივატიზებო საფასურის გადახდა უნდა განხორციელდეს შემდეგ საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის გზით:

მიმღები: სახელმწიფო ხაზინა TRESGE22

სახაზინო კოდი: 300773390

დანიშნულება: არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების გაყიდვიდან

მუხლი 4. საკუთრების უფლების გადაცემა

4.1 ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს, ხელშეკრულების 1.2. პუნქტში მითითებულ ქონებაზე საკუთრების უფლება გადაეცემა ამ ხელშეკრულების საფუძველზე საკუთრების უფლების სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციის მომენტიდან.

4.2 ქონების შემძენს ხელშეკრულებით გადაცემულ უძრავ ქონებაზე (პრივატიზების საგანზე) საკუთრების უფლება გადაეცემა საკუთრების უფლების სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციის მომენტიდან. საკუთრების უფლების სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციის მიზნით, ამ ხელშეკრულების გარდა, სარეგისტრაციო სამსახურს უნდა წარედგინოს საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა.

მუხლი 5. მხარეთა განცხადებები და ვალდებულებები

5.1 სააგენტო აცხადებს, რომ ხელშეკრულების 1.1 პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონება ხელშეკრულების დადების მომენტისთვის არის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრება. უძრავი ქონება არ არის იპოთეკით დატვირთული, არ არის ყადაღადადებული, რაც დასტურდება სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან ამონაწერით. ასევე, ამ პუნქტით გათვალისწინებულ უძრავ ქონებაზე არ ირიცხება არანაირი კომუნალური გადასახადი და დავალიანება.

5.2 ქონების შემძენი აცხადებს, რომ ამ ხელშეკრულების 1.2 პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონებები ხელშეკრულების დადების მომენტისთვის არის მისი საკუთრება. უძრავი ქონებები არ არის იპოთეკით დატვირთული, არ არის ყადაღადადებული, არ არის ვალდებულებით დატვირთული, რაც დასტურდება სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან ამონაწერით. ასევე, არ ირიცხება არანაირი კომუნალური გადასახადი და დავალიანება. ამასთან, №01.14.14.005.155 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე გადის ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული კომუნიკაცია - ელექტროგადამცემი ხაზი (№01.00.117) და შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ საკუთრებაში არსებული კომუნიკაცია - მილსადენი (№01.01.834). ასევე, №01.14.14.005.160 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე გადის ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული კომუნიკაცია - ელექტროგადამცემი ხაზი (№01.00.117) და შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ საკუთრებაში არსებული კომუნიკაცია - მილსადენი (№01.01.834). მხარეები თანხმდებიან, რომ აღნიშნული არ მიიჩნევა ხსენებული მიწის ნაკვეთების უფლებრივ ან/და ნივთობრივ ნაკლად.

5.3 ხელშეკრულების მხარეები აცხადებენ, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწის ნაკვეთების ხარისხი და ნივთობრივი მდგომარეობა შეთანხმებულია მათ შორის.

5.4 ქონების შემძენი აცხადებს და ადასტურებს, რომ პრეტენზია არ გააჩნია ხელშეკრულებით გაცვლას დაქვემდებარებული უძრავი ნივთების საბაზრო ღირებულებებს შორის სხვაობასთან დაკავშირებით.

5.5 საპრივატიზებო საგანზე სააგენტო ვალდებულია, საპრივატიზებო საფასურის გადახდის დადასტურების შემდგომ, დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად გასცეს საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა.

5.6 ქონების შემძენი ვალდებულია, უზრუნველყოს შემძენილ უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაცია საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემისთანავე, გონივრულ ვადაში.

5.7 პრივატიზების საგანზე ქონების შემძენის საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციისას, საპრივატიზებო პირობა ვალდებულებად დარეგისტრირდება საჯარო რეესტრში და შესაბამის საჯარო რეესტრის ამონაწერში აღირიცხება შემდეგი ჩანაწერი: „ქონება შემძენილია საპრივატიზებო პირობით“.

5.8 ქონების შემძენი ვალდებულია, დაფაროს ხელშეკრულებით მისთვის გადაცემულ ქონებაზე საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

5.9 საპრივატიზებო პირობის შესრულების დადასტურებამდე, ქონების შემძენს არ აქვს უფლება, სააგენტოს თანხმობის გარეშე გაასხვისოს, გასცეს სარგებლობის უფლებით ან სხვაგვარად უფლებრივად (მათ შორის - იპოთეკით) დატვირთოს პრივატიზების საგანი. ამასთან, იგი პასუხისმგებელია შემძენილი ქონების მოვლა-პატრონობაზე და დაცვაზე.

5.10 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, ქონების შემძენი ვალდებულია, სააგენტოს მოთხოვნის შემთხვევაში, სააგენტოს მიერ განსაზღვრულ ვადაში წერილობით წარუდგინოს ინფორმაცია საპრივატიზებო პირობის და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების თაობაზე.

5.11 საპრივატიზებო პირობის შესრულების დადასტურებამდე პრივატიზების საგნის გასხვისების შემთხვევაში, ქონების შემძენი ვალდებულია უძრავი ქონება ახალ მესაკუთრეზე გაასხვისოს იგივე საპრივატიზებო პირობით და ვალდებულებებით, რაც გათვალისწინებულია ამ ხელშეკრულებით (პრივატიზების საგნის გასხვისებამდე ქონების შემძენმა წინასწარ უნდა გააცნოს ეს ხელშეკრულება ახალ მესაკუთრეს). უძრავი ქონების გასხვისების შესახებ წერილობით უნდა ეცნობოს სააგენტოს.

5.12 საპრივატიზებო პირობის შესრულება უნდა დადასტურდეს სააგენტოს მიერ.

5.13 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან დარღვევის შემთხვევაში, ქონების შემძენი სააგენტოსგან იღებს წერილობით გაფრთხილებას, რომელშიც მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადა და ეკისრება მე-6 მუხლით განსაზღვრული პირგასამტეხლო.

5.14 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დამატებითი ვადის განმავლობაში შეუსრულებლობის და/ან დაწესებულ ვადაში პირგასამტეხლოს გადაუხდელობის შემთხვევაში, სააგენტო უფლებამოსილია ხელშეკრულება დაუყოვნებლივ შეწყვიტოს ცალმხრივად.

5.15 ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის შემთხვევაში, ამ ხელშეკრულებით პრივატიზებული ქონება (ან მისი გამოიჯენის შედეგად, ან სხვა უძრავ ქონებასთან გაერთიანების შედეგად წარმოქმნილი უძრავი ქონება, ან ტერიტორიაზე შექმნილი დამოუკიდებელი უფლების ობიექტები) ბრუნდება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში (მიექცევა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში). ხოლო ამ ქონებაზე რეგისტრირებული მესამე პირის (პირთა) იპოთეკის უფლება (უფლებები) უქმდება, თუ აღნიშნული ქონების იპოთეკით დატვირთვამდე საჯარო რეესტრში უძრავი ნივთის შესახებ ჩანაწერში რეგისტრირებულია საპრივატიზებო ვალდებულების (ვალდებულებების) ამსახველი შესაბამისი ინფორმაცია. უძრავი ქონება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირდება სააგენტოს მიერ სარეგისტრაციო სამსახურში წარდგენილი წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, რაც არ საჭიროებს ქონების შემძენის ან სხვა ნებისმიერი პირის თანხმობას. ამასთან, ქონების შემძენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ არ აუნაზღაურდება გადახდილი თანხები და გაწეული ხარჯები.

5.16 ქონების შემძენი ვალდებულია, საკუთრებაში გადაცემული უძრავი ქონების შემდგომი გამოყენებისას და სამშენებლო განვითარებისას დაიცვას და გაითვალისწინოს კანონმდებლობით განსაზღვრული და უფლებამოსილი ორგანოების მიერ დადგენილი მოთხოვნები.

მუხლი 6. პირგასამტეხლო

6.1 საპრივატიზებო საფასურის გადახდის ვალდებულების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის დარღვევის შემთხვევაში, ქონების შემძენს ეკისრება პირგასამტეხლო

(საურავი). პირგასამტეხლო განისაზღვრება გადაუხდელი თანხის 0,1%-ის ოდენობით, დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, მაგრამ არანაკლებ 5 (ხუთი) ლარისა. პირგასამტეხლოს დარიცხვა გაგრძელდება საპრივატიზებო საფასურის გადასახდელი ნაწილის სრულ გადახდამდე ან/და სააგენტოს მიერ ხელშეკრულების მე-5 მუხლის 5.15 პუნქტის მიხედვით ცალმხრივად შეწყვეტამდე, რომელიც უფრო ადრე დადგება.

6.2 პირგასამტეხლოს გადახდა უნდა განხორციელდეს თანხის შემდეგ ანგარიშზე ჩარიცხვით:

მიმღები სახელმწიფო ხაზინა: TRESGE22

სახაზინო კოდი: 300773287

(შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოდან).

მუხლი 7. მხარეთა შორის ურთიერთობის სამართლებრივი რეგულირება

7.1 მხარეთა შორის სამართლებრივი ურთიერთობები რეგულირდება ამ ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7.2 მხარეთა შორის დავის არსებობის შემთხვევაში, მხარეებს შეუძლიათ მიმართონ საქართველოს შესაბამისი იურისდიქციის მქონე სასამართლოს.

მუხლი 8. სხვა პირობები

8.1 ხელშეკრულების ყველა გვერდი ხელმოწერილი უნდა იყოს მხარეთა მიერ.

8.2 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან.

8.3 ხელშეკრულება შედგენილია 3 (სამი) თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, ქართულ ენაზე. ერთი ეგზემპლარი წარედგინება სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურს (მარეგისტრირებელ ორგანოს). თითო ეგზემპლარი გადაეცემა მხარეებს.

8.4 პრივატიზების საგანზე ქონების შემძენის საკუთრების უფლების რეგისტრაციის მიზნით, სავალდებულოა, სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, ხელშეკრულების გარდა ასევე წარედგინოს საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა.

8.5 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება ან/და დამატება შესაძლებელია მხარეთა შეთანხმებით.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტო

[•]

[•]
